



„ღმერთო,  
სამშობლო მიცოცხლე,  
მშინარეც  
ამას ვდუდუნებ!“

# კავკასია

## Kavkasia

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №7-8 (71-72) სექტემბერი-ოქტომბერი 2013 წელი ფასი 1 ლარი



**საქართველო-რუსეთის  
საზღვარზე არსებული  
მდგომარეობა და  
საფრთხეები**  
გვ. 2

**მონაქიე**

გვ. 7



**ნიკო  
ქუხიანიშვილის  
უკვლავი ხმა**  
გვ. 4

### ბიძინა ივანიშვილს

(ხაზსურს სწავლა)


როცა სიცოცხლემ დაკარგა ფასი,  
შემშინებს გაქეცა ხალხი ლტოლვილად,  
მაშინ დედოფლად საჩხერე დასვი,  
თავსამკაულად შენი ჭორვილა!  
შექმენ ფერმები, ჯანდაცვის კერა,  
სკოლის წარები აახშიანე,  
გაუცისკროვნე იმედი, რწმენა,  
ღირსებად ქცეულ ადამიანებს.  
მწყემს შეხვდი როგორც მეუდაბნოე,  
გახსნილი გულით გატენე პური,  
ხალხის ყოფაზე თნობა ადროვე,  
რომ კვლავ დაგედო ერთი აგური.  
შენი ნაღვაწი, ნაამაგარი,  
უცხო მიწაზე ფრთებს შლიდა როცა,  
იბადებოდა წმინდა ტაძარი,  
და დღეს სამების ფრესკები გლოცავს!  
ეგ ღმერთკაცობა სუნთქვას უჩერებს,  
მაგანს და ურცხვად იქნევენ წკეპლებს,  
მეცენატობის კლასი უჩვენე,  
ამ ჩვენი ქვეყნის უდღეურ პეპლებს!..  
დღეს, გორისაში ფერფლიდან აღსდგა,  
კვლავ აჭრიალდა სახლის დარაბა,  
დაიზრდებიან „ლეკვები“ აქაც,  
დაუდგებიან სოფელს დარაჯად!  
მზად არის ყველა, გაგისწას კარი,  
სულში ჩაგისვას, ძელით გატაროს,  
საჩხერე იქცა ვით გატიკანი,  
სახელმწიფოში — სულ სხვა სამყარო!  
სჩანს არაგველის და საგანელის,  
ლექსი — კოდექსი, სათლად ატარე,  
და ეგ სიკეთე, ვით საფანელი,  
სულიერ დოგლათს გადააყარე!  
დღეს ისტორიის მემატიანე,  
შენი დიდების სამოსელს ქარგავს,  
შენ საუკუნეს აახშიანებ,  
„სანთელ-საკემელი გზას არ დაკარგავს!“

როზმარტ (გელა) აბაიძე,  
ლაგოდეხი,  
2005 წელი.

\*\*\*

დრო ქარიშხლებად აწვიმს,  
ხავსი ედება უბნებს...  
და მიტოვებულ სოფლებს  
უცხოტომელი ურბენს.

ნატო კობახიძე-გაგაურაშვილი



\*\*\*

დათვრება ხარანაული,  
ცრემლებით ისდის ღალასა,  
ორივე ყურით დაითრევს  
ცეტსა და ნაძირალასა,  
მრუდედ არც როდის შესედავს  
კაი ყმის გულისცალასა,  
სულ სიმთვრალეში გამასცლის  
სიფხიზლის შხამ-სამსალასა.  
გაუტევენ გზებით უგალით,  
მომკის გარსკვლაფთა ყანასა,  
შემოყვრება უგალი,  
გაატანს ლოცვის ფარასა,  
მოიგდებს სიკვდილის მუნანათს,  
გაუტევენ თავის ქალასა.

ზორა ხარანაული

### მეღრეპა

მე ვარ გვერული მწირი, ეული,  
ჩანასახი ვარ დიადი ნიჭის,  
გაზის ჩაგრეხილ რტოთვან შეკრული  
აკვანის არტანით ჩაგრული ბიჭი.

ვარ უფლის კვართის უებრო მცველი,  
დიდგორო, შენი რაინდი მიცან...  
ამოქნეული გორდა ვარ ხელი,  
გადაგებული მალამოდ მიწას.

მე ვარ ივერის ნაფლეთ-ნაკუწი,  
მე ვარ სახატე ადგილი წმინდა...  
ღმერთო, მისმინე! —  
მარად ჯვარცმული  
ჩემი სამშობლოს დიდება მინდა!..

კობა ბელოძე

# მამუკა არაშვილი: „დამოუკიდებლობის ფასი არ ვიცი და მისი დაცვაზე გვიჭირს“

გაზეთ კავკასიის სტუმარია პოლიტოლოგი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არაშვილი.

– ბატონო მამუკა, კავკასიის წინაშე აი, უკვე რამდენი წელია მწვავედ დგას არაერთი საკითხი, მათ შორის დღემდე ყველაზე მოუგვარებელი რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რამდენად დამაიმედებელია ამ მიმართულებით თქვენი პროგნოზები?

– ვერ ვიტყვი დამაიმედებელია, იმიტომ რომ ამ მიმართულებით მე ვერ ვხედავ მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკას. ვერ ვიტყვი რომ მუშაობა არ წარმოებს, თუმცა ვერ ვგუჯვრობთ შედეგი არ ჩანს...

იმისათვის რომ ნებისმიერმა პროექტმა იმ-უშაოს, ამ მიმართულებით საჭიროა საქართველოს ხელისუფლების ხელში იყოს ინიციატივა, რომელიც საინტერესოს გახდის აფხაზეთისა და ოსების მხრიდან ჩვენს ურთიერთობას.

არ გამოვირიცხავ, რომ იყოს ინიციატივათა პაკეტი, რომელიც სხვადასხვა დონით დაინტერესებს რუსეთსაც და დასავლეთსაც.

– ავღანეთში, ჩვენი სამშობლოს გამორჩეული და მამაცი ვაჟკაცები არაერთხელ დაიღუპნენ და მათი თავგანწირვა ხელისუფლების მიერ ვერცხვანდა არის შეფასებული, მაგრამ მინტერესებს თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია ეს დიდი და მეტად მტკივნეული მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ კარგად მაქვს გაცნობიერებული ამ აქციის მნიშვნელობა, ანუ გვაქვს თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილისეული სტრიქონების წარმოქმნის საბაბი: „ცუდად ზომ მინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“?

– ეს ძალიან რთული საკითხია, თუმცა ნუ დაგვაიწყდება, რომ იმავე ავღანეთში დგას სტელა, რომელზედაც არაბულად აწერია: ჩვენი დამარცხება შეძლო მხოლოდ სამმა მხედარ-თმოვარმა: ალექსანდრე მაკედონელმა, ჩინგის ხანმა და გიორგი გურჯამი, – გიორგი გურჯამი, გიორგი მე-11-ის ზედმეტი სახელია.

ასე განსაზღვრა განგებამ, რომ ჩვენი მებრძოლები თავის ომშიც იბრძოდნენ და სხვის ომშიც.

ჩვენ გვაქვს აღებული გეზი დასავლეთთან პარტნიორულ ურთიერთობებზე, ჩვენ ვიღებთ უზარმაზარ დახმარებას დასავლეთიდან. სხვა საკითხია რამდენად ეფექტურად იყენებს ამას ჩვენი ხელისუფლება. ასე რომ თუ გვინდა პარტნიორობა და თანამშრომლობა, ასეთი ტიპის ურთიერთობა მოგვიწევს. ეს არის ერთ-ერთი ხარკი, რომლის გადახდა საქართველოს ყოველთვის უხდება.

მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობა ლოგიკური და გასაკები იყო, თანაც ორივე მხარეს, მაგრამ გავიხსენოთ რუსეთის მიერ წარმოებული სხვა ომები და მათში ქართველების მონაწილეობა. ასე რომ, ნებისმიერს შეუძლია დადებითად, ან უარყოფითად შეაფასოს ქართველების როლი ავღანეთის ომში, მაგრამ ეს პოლიტიკური ვაჭრობის საგნად არ უნდა ვაქციოთ.

– საქართველო ოცდახუთი წელია რევოლუციურ მდგომარეობაში იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში ძალიან სწრაფად გავიარეთ გზა, რომელსაც ბევრად მეტი დრო დასჭირდებოდა. თქვენ, როგორც პოლიტიკოსი და კავკასიოლოგი, რა შეფასებას მისცემდით წარსულს და რა მიგანიათ ყველაზე დიდ შეცდომად და გამარჯვებად?

– გზა სწრაფად კი გავიარეთ, მაგრამ ვერ ვგუჯვრობთ პოლიტიკური კულტურისაგან შორს ვართ. ჩვენ ვართ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტების ერი. სამწუხაროდ, ეს ხშირად გვიშლის ხელს საერთო საქმის შესრულებისათვის აუცილებელ კონსოლიდაციაში.

პატარა მაგალითი: როდესაც ქვეყანაში სხვადასხვა დონის არჩევნებია, მაშინვე გვაიწყდება ყველა პრობლემა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას და ვიწყებთ „პოლიტიკოსობას“. გვაიწყდება მორღვეული საზღვრები, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები, დაკარგული ტერიტორიები და ბევრი სხვა ამდგვარი... ამასობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი მუზობელი ისე იქცევა, როგორც საკუთარ სახლში და



ჩვენ ამისათვის არ გვცალია. მთავარია ჩვენმა კანდიდატმა გაიმარჯვოს.

მთავარი გამარჯვება ალბათ საქართველოს დამოუკიდებლობაა და სწორედ ძირითადი შეცდომა ის არის, რომ ამ დამოუკიდებლობის ფასი არ ვიცით და მისი დაცვა გვიჭირს.

გაზეთი „კავკასია“ ძირითადად იმ პრობლემებს ეხება, რაც მთიან რეგიონებს ახასიათებს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთო კავკასიური ქვეყნებისას: ჩჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის, ჩერქეზეთის და სხვა.

იქნე გვითხრათ, გარდა იმისა რომ მცირერიცხოვანი ერების ქართველებთან მშვიდობიანი კავშირები და თანაცხოვრება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით, თქვენი აზრით კიდევ რა საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომელსაც ჩვენი გაზეთი სამომავლოდ გაითვალისწინებს?

– იმისათვის რომ თქვენი გაზეთი განვითარდეს, საჭიროა შესაბამისი აუდიტორია ჰყავდეს მთელი რეგიონის მასშტაბით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაზეთმა ხელი

შეუწყოს პოლიტიკური კავკასიოლოგიის განვითარებას, გარდა ამისა, მას უნდა ჰყავდეს კორესპონდენტები რეგიონების მასშტაბით.

– დაბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: – რას უსურვებდით გაზეთ „კავკასიას“, რომელიც ცდილობს ყვითელი პრესის წინაშე გაუძლოს და მინც არ შეცვალოს ერთხელ აღებული კურსი, თუმცა, იმასაც დაგამატებდი, რომ მატერიალური თვალსაზრისით, გაზეთზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფი ანაზღაურების გარეშე მუშაობს?

– თქვენს გაზეთს ვუსურვებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩამოყალიბებული ჰქონდეს კავკასიური პოლიტიკა და გამოყენებულნი იყვნენ პოლიტიკურ თუ სამეცნიერო კავკასიოლოგიაში მომუშავე პროფესიონალები, ამ შემთხვევაში თქვენს გაზეთს გაუჩნდება რესურსი და გახდება საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ტრიბუნა.

აი, ამას ვუსურვებ...

ესაუბრა ივა ჯაჭვამია

## საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

1991 წლის 21 დეკემბრის ოფიციალური ინფორმაციით საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენს 69,7 ათას კვ.კმ-ს.

საქართველოს საზღვრის სიგრძე შეადგენს 1 968 კილომეტრს (1995 წლის მონაცემებით)

რუსეთის ფედერაციასთან საზღვრის სიგრძეა 825,4 კმ. აქედან 775 კმ მაღალმთიანი მონაკვეთია.

რუსეთის ფედერაციის რეგიონებთან საქართველოს საზღვრის სიგრძე შედგება:

1. კრასნოდარის მხარე (აფხაზეთის მონაკვეთი) 76 კმ
2. ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (აფხაზეთის მონაკვეთი)- 175 კმ.
3. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა (სვანეთის მონაკვეთი) – 114 კმ.
4. ჩრდილო - ოსეთის რესპუბლიკა (რაჭის, ე.წ. სამოსეთის, ყაზბეგის რაიონის მონაკვეთი) – 166 კმ.
5. ინგუშეთის რესპუბლიკა (ყაზბეგისა და ღუშეთის რაიონის მონაკვეთი) 62,4 კმ.
6. ჩჩნეთის რესპუბლიკა (აზმეტის რაიონი - თუშეთი, ღუშეთის რაიონი - ხევსურეთის მონაკვეთი) – 84 კმ.
7. დაღესტნის რესპუბლიკა (ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, აზმეტის რაიონების მონაკვეთი) – 148 კმ

საბჭოთა პერიოდში, საქართველო რუსეთის ფედერაციას უკავშირდებოდა კავკასიის ქედის პერიმეტრზე სხვადასხვა პროფილის მქონე უღელტეხილებით და გადასასვლელებით.

საქართველოს და რუსეთის მთლიანობაში აკავშირებდა 44 გადასასვლელი, უღელტეხილი და გზა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული საზღვარი ხშირად

იცვლებოდა სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოსაზრებებით. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს ტერიტორია გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით (1944 წელს „ხალხების დიდი გადასახლების“ გამო) და მომხდარა პირიქით, როდესაც ამავე მოსაზრებებით აღნიშნული ტერიტორიები უკან დაუბრუნდა თავის მფლობელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის რუკების მიხედვით საქართველოს მიეკუთვნებოდა ზოგიერთი ტერიტო-



ხევსურეთი, შატალი

რია ჩრდილოეთ კავკასიაში (მაგ. კავკასიის ქედს იქით, რაჭის მიმდებარე ტერიტორია, თუშეთის, ხევსურეთის და ხევის მიმდებარე ტერიტორიები).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა

იმისთვის, რომ საზღვარი დაეფიქსირებოდა კავკასიის ქედის გასწვრივ, საქართველოს მთიანეთის კონტროლის პერსპექტივით.

ბაზიქაძე მამ-3 ბაქიშაძე



მე-3 ბიჰენიან

2. მდგომარეობა
გასული საუკუნის 90-
იანი წლებიდან - 2004
წლამდე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა
მოვლენებმა, რუსეთის ხელისუფლების სურ-
ვილმა, არ დაეკარგა კონტროლი სამხრეთ
კავკასიაზე, განაპირობა სეპარატისტული რე-
გიონების გაჩენა. აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ
ოსეთის, საქართველო-რუსეთის საზღვრის
მონაკვეთი ოფიციალური თბილისის კონტრო-
ლის მიღმა დარჩა. ამ პერიოდში საქართველო-
რუსეთის საზღვართან დაკავშირებით თავი
იჩინა შემდგომმა პრობლემებმა: რუსეთის
ხელისუფლების წინააღმდეგობა და საქართვე-
ლოს ხელისუფლების უნაყოფიერება საზღვრის
დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით (მიუხე-
დავად მრავალწლიანი მსჯელობისა საზღვრის
დემარკაციის საკითხი დღემდე გაურკვეველია);
სეპარატისტული რეგიონების საზღვრის
მონაკვეთთა უკონტროლობა;

კონტრაბანდის ფართოდ გაშლილი ქსელი,
რომელშიც ჩართული იყვნენ, როგორც საზ-
ღვრის მიმდებარე რეგიონის მაცხოვრებლები,
ასევე სხვადასხვა რანგის მაღალჩინოსნები.
სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიაზე
არსებული საზღვრის მონაკვეთის გარდა,
ასეთი რამ ხდებოდა ლარსის საგუშაგოზე,
მამისონის უღელტეხილზე (ჩრდილო ოსეთი-
რაჭის მონაკვეთი) და თითქმის გაუვალ ბეშთა-
სხალსოფლის (დაღესტანი-კახეთის მონაკვეთი)
შემაერთებელ ხაზზე.

სასაზღვრო პუნქტებისა და დაუცველი
სასაზღვრო ზონების გავლით საქართველოში
შემოდინებოდა ნარკოტიკული საშუალებები
და შემოდინდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტი-
ურისტები.

საქართველოს ხელისუფლების უპრინციპო
პოზიცია საზღვრის დაცვის საკითხებში.

მაგალითად, საქართველომ დაკარგა
ტერიტორია ყვარლის რაიონში, რომელიც
1985 წელს დროებით გაიკვალა ყიზლარის
საძოვრებზე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ქართ-
ველი მესაქონლეები იძულებულნი გახდნენ
დაეტოვებინათ აღნიშნული ტერიტორია, ხოლო
ეს ადგილი ყვარლის რაიონში რუსეთს დარჩა.

დაუდევრობით დაიკარგა ხევსურეთში
სოფელ ფიჭვნის მიდამოები (დაახლოებით
10 კვ.კმ)

ლარსის სასაზღვრო პუნქტის არასწორი
განლაგების გამო დაიკარგა ტერიტორიის
რამდენიმე კვ.კმ. (იხ. ქვემოთ)

3. მდგომარეობა
2004 წლიდან - დღემდე

ამ პერიოდში მდგომარეობა უკეთესობისკენ
არ შეცვლილა:

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ
დაიკარგა საქართველო-რუსეთის საზღვრის,
საქართველოს მიერ კონტროლირებადი მნიშ-
ვნელოვანი მონაკვეთი - კოდორის ხეობა.

ქართველი მესაზღვრეები იძულებულნი
გახდნენ დაეტოვებინათ მამისონის უღელ-
ტეხილის საკონტროლო პუნქტი და 20 კმ-ით
ქვეყნის სიღრმეში უკან დაეხიათ.

თუმთში, დიკლოს მთის მიმდებარე ტერი-
ტორიაზე რუსეთმა თვითნებურად 3 კმ- ით
გადმოიწია საზღვარი და მიიტაცა 24 კვ.კმ.

2004 წლის შემდეგ რუსეთის ხელისუ-
ფლებისათვის ნათელი გახდა, რომ საქართვე-
ლოს ნაწილს-სკენ ლტოლვამ შეუქცევადი ხასია-
თი მიიღო, ამან განაპირობა მათი გააქტიურება.

რუსეთმა აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართვე-
ლოს ტერიტორიის ნაწილის ექსპანსიისათვის
და საზღვრისპირა რეგიონების მიტაცებისათვის.

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს რუსეთის
ფედერაციის ხელისუფლების შემდგომი ქმე-
დებები, საჭიროა გავეცნოთ გვეგას, რომელიც
ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა.

რუსეთის სავარაუდო გეგმა საქართვე-
ლოს ჩრდილოეთ საზღვართან დაკავშირებით
სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, რუსეთი
ფორსირებულად იწყებს საბჭოთა კავშირის
დროინდელ თავდაცვის სამინისტროს გენერ-

ალური შტაბის თავდაცვითი გეგმის რეალი-
ზაციას, რომელიც ნატოსთან სავარაუდო ომის
შემთხვევისთვის შეიქმნა.

სამხრეთის მიმართულებიდან საბჭოთა
კავშირზე შეტევის პლაცდარმად განიხილებოდა
ნატო -ს წევრი ქვეყანა თურქეთი. ამიტომ
ამ მიმართულების დასაცავად შეიქმნა გეგმა,
რომელიც მოიცავდა 3 თავდაცვით ზღუდეს:

სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე
(დღევანდელი საქართველო - თურქეთის საზ-
ღვარი). კავკასიის ქედის გასწვრივ, სიღრმეში,
როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის
ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართვე-
ლოს ნატო-ზე ორიენტირების შემდეგ,
რუსეთის გენერალური შტაბის სავარაუდო
გადაწყვეტილებით, მეორე თავდაცვითი ზღუდე
ავტომატურად იქცა ძირითად ზღუდედ,
შესაბამისად მან შეიძინა განსაკუთრებული
ფუნქცია, აღსანიშნავია, რომ ზღუდის გასა-
მაგრებლად გამოყენებულია ის პრინციპები,
რომელიც ზემოთ ნახსენებ გეგმაშია მოყვანილი.
კერძოდ: კავკასიის ქედზე გამავალი ზღუდის
სრულყოფილი დაცვისათვის, საჭიროა სამხრე-
თის მიმართულებით დაახლოებით 40 კმ -იანი
ზოლის კონტროლი, რომლისგანაც 20 კმ.
ქელიდან სამხრეთით, განეკუთვნება აქტიური
დაცვის სივრცეს, შემდგომი 20კმ. პასიური
დაცვისაა.

სწორედ აქედან გამომდინარეობს რუსეთის
აქტიურობა კავკასიის ქედის მიმდებარე საქართვე-
ლოს ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად.

ამ მიზნის მისაღწევად რუსეთმა გასული
საუკუნის 90 -იანი წლებიდან დღემდე განახ-
ორციელა შემდეგი ღონისძიებები:

სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭე-
რით, ხელში ჩაიგდო მათ ტერიტორიაზე

საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემას;
საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის
მიერ შექმნილი გეგმა, კავკასიის ქედის პე-
რიმეტრზე და 40 კმ-იან თავდაცვის სივრცეში,
ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის
მშენებლობას, როგორც ვერტიკალური მიმა-
რთულებებით, ასევე ქედის პარალელურად.

ჩვენი აზრით, ამ გეგმის რეალიზაციას
ემსახურება შემდეგი პროექტები:

ახალი 207 კმ-იანი გზა, ყარაჩაი-ჩერ-
ქეზეთიდან, მარუხის უღელტეხილის გავლით -
აფხაზეთისაკენ (ამ გზის ყარაჩაი - ჩერქეზეთის
მონაკვეთი უკვე მზად არის);

უკვე აშენებული გზა, კალაკი - მამისონი
(ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) ეს გზა
18 კმ-იანია და იგეგმება მისი გაგრძელება
ჯავისაკენ (აქედან გამომდინარე გასაგებია
ქართველი მესაზღვრეების იძულება, რომ მათ
განახორციელებს მამისონის უღელტეხილიდან
"ნიკოლოზის ხიდის" აფეთქება);

გეგმაში არსებული როკის გვირაბის
რესტავრაცია და ახალი გვირაბების გაჭრა;

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები
ჩერქეზეთის, ითუმ-კალის რაიონიდან შატიალამდე
გამავალი გზის აღსადგენად;

დამთავრებულია დაღესტნის, ბოთლინის
რაიონიდან გზის მშენებლობა ყვარლის რაიონ-
ამდე (ეს გზა პირადად ვ. პუტინის მითითებით
აშენდა).

ინტენსიურად მიმდინარეობს ცხინვალი-
ანსაღვრის გზის მშენებლობა. გზის საპროექ-
ტო პროფილიდან და ხარისხიდან კავკასიონის
ქედის პარალელურად გაგრძელება ყაზბეგის
რაიონისკენ. ამის საფუძველს გვაძლევს ის,
რომ ჩრდილო ოსეთში დაწყებულია სერიო-
ზული კამპანია ყაზბეგის რაიონის ჩრდილო
ოსეთისთვის მიკუთვნების თაობაზე. უნდა



მუსო

გამავალი საზღვრის მონაკვეთები;

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ
რუსეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა კო-
დორის ხეობა და მამისონის უღელტეხილის
მიმდებარე ტერიტორია;

საქართველო - რუსეთის ადმინისტრაციულ
საზღვარზე არსებული 44 გადასასვლელიდან
24 მთლიანად რუსეთი აკონტროლებს.

კავკასიის ქედზე არსებული ყველა
სტრატეგიული სიმაღლე რუსეთის ხელშია;
საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე ზო-
გიერთ ადგილას მოხდა საზღვრის თვითნებური
გადმოწევა საქართველოს სიღრმეში (მამისონის
უღელტეხილიდან, ლარსის საგუშაგოსთან,
თუმთში დიკლოს მთასთან, ხევსურეთში -
სოფელ ფიჭვნთან );

რუსეთის ქმედების შედეგად შეიცვალა
დემოგრაფიული სურათი საზღვრის მიმდებარე
ტერიტორიაზე;

1989 წლის მონაცემებით, ამ მონაკვეთზე
განლაგებული იყო 260 სოფელი, არსებობდა
განსახლების 9 უბანი. დღეს 5 უბანს მთლიანად
აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია, ხოლო
დანარჩენ 4-ს საქართველო, რამაც თავისთავად
დემოგრაფიული სურათის ცვლილება გამოი-
წვია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ
კონტროლირებად მთის სოფლებშიც (რაჭა,
დუშეთის რაიონი, ყაზბეგის რაიონი) სავარაუ-
დო ზოგადად თუ სოციალურ - ეკონომიკური
სიღრუხების გამო შეიმჩნევა მოსახლეობის
მიგრაცია ბარისაკენ, რაც უფრო ასუსტებს

ითქვას, რომ ამ კამპანიას დღითიდღე უფრო
მეტე მასშტაბი ეძლევა და მასში უკვე ღიად
ჩაერთვნენ ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის
ხელმძღვანელები (განსაკუთრებით აქტიურია
რუსეთის ღუმის დეპუტატები ჩრდილოეთ ოსეთი-
დან არსენ ფაძაგი). თუ გავითვალისწინებთ,
რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი სამხრეთ
ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაცი-
ული საზღვარი გადის ყაზბეგის რაიონთან,
საქართველოს სამხედრო გზის მიმდინარე ტერ-
იტორიაზე, ადგილი წარმოსადგენია როგორი
ზიფათის შემცველია ასეთი ტიპის პროექტები.

კავკასიის ქედის გასწვრივ პარალელური,
სავარაუდო გზების მშენებლობის გეგმა შეი-
ძლება განვიხილოთ ყაზბეგის რაიონისა და
მიმდებარე ხევსურეთის მაგალითზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ
საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს
შორის, მოლაპარაკების საფუძველზე დე-
მარკაციამდე სახელმწიფო საზღვარი გადიოდა
ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი გვირაბის
შუაგულში. გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე
საქართველოს მხრიდან ე.წ. „ემშაქის ხიდსა“
და საფორთიფიკაციო ნაგებობა „მოტის“ მიდა-
მოებში გაიხსნა საკონტროლო გამშვები პუნქტი
„ლარსის“ სახელწოდებით (უნდა ითქვას,
რომ სსრკ-ს დროინდელი მიწათსარგებლობის
რუკების მიხედვით საქართველოს გვირაბს იქით
კიდევ 100 კვ.კმ). შემდგომში, გაურკვეველი
მოსაზრებების გამო, 90-იანი წლების შუაში,
საქართველოს ხელისუფლებამ სასაზღვრო

პუნქტი გადმოწია 850 მ -ით უკან. ეს ღონ-
ისძიება დროებითი იყო, მაგრამ სამწუხაროდ
დღემდე ასე დარჩა. ამ მონაკვეთს დაერქვა
ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც ორივე
მხარეს ერთობლივად უნდა გაეკონტროლე-
ბინა, თუმცა ამჟამად კონტროლი მთლიანად
რუსეთის ხელშია.

რუსეთის მიზნების უკეთ გასაგებად
საკმარისია დავხედოთ რუკას. ქართველი
მესაზღვრეების დისლოკაციის ყოფილი ად-
გილი სტრატეგიული თვალსაზრისით, ძალიან
მომგებიანი იყო, ის აკონტროლებდა შემოე-
ლით გზებს თერგის აქეთ - გველეთამდე და
მყინვარის მიმართულებით მიმავალ გერგეთის
შემოვლით გზას, ასევე ხევსურეთისაკენ (არხ-
ოტისკენ) მიმავალ გზას, რომელიც ჯარიახის
ხეობის პარალელურად მიემართება. თუ ვი-
ვარაუდებთ, რომ ამ მიმართულების ხელში
ჩაგდება რუსეთი მომავალში თავის გადღწევის
ქვეშ მოაქცევს ჯუთა-არხოტი-შატილი-
ხონიჭალა (თუშეთი)მიმართულებას, მაშინ
გასაგებია ვახდებთ მათ მიერ გადადგმული ნა-
ბიჯი. განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს,
საქართველოს მამინდელი ხელისუფლების
დანაშაულებრივი ქმედება.

ეს მიმართულება დღეს მხოლოდ საჭაპ-
ანე ტრანსპორტის გადასადგილებლად არის
ვარგისი, მაგრამ მომავალში შეიძლება რთული
პროფილის სამანქანო გზის აშენება (ამ მიმა-
რთულების ვერტიკალურად ჩერქეზეთიდან შენდება
ითუმ-კალედან გამომავალი გზა). თუ გავით-
ვალისწინებთ, რომ ეს ტერიტორიები პრაქტი-
კულად მოსახლეობის გარეშეა დარჩენილი,
იოლი მისახვედრია, რომ რუსეთისათვის ნაკლებ
პრობლემატურია თავისი ამოცანის შესრულება.

რუსეთის ფედერაცია თავის ექსპანსიონის-
ტურ პოლიტიკას ხშირ შემთხვევაში ნიღბავს
ეკონომიკური თუ ტურისტული პროექტებით.

მამისონის უღელტეხილის მიმდებარე
ტერიტორიაზე იგეგმება ზამთრის კურორტის
აშენება, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდი
სამთო კურორტი იქნება (35 სათიხლამურო
ტრასა). ამ კურორტის პროექტი დემონ-
სტრირებული იყო 2006 წელს კრანსონდარის
ეკონომიკურ ფორუმზე და მაღალი შეფასება
დაიმსახურა. კურორტი შენდება ჩრდილოეთ
ოსეთის, ზარამაგის ნაკრძალის ტერიტორიაზე,
სწორედ ამ პროექტის საფარ-ქვეშ გარემონტდა
კალაკი - მამისონის გზა. პროექტის სახელ-
წოდებაა - „მამისონი“.

კოდორის ხეობაში შეიქმნა სახელმწიფო
პარკი, რომელიც გეგმის მიხედვით უნდა
გახდეს ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ტერი-
ტორიაზე არსებული პარკის ნაწილი.

ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით დაღესტან-
ში მზადდება სათიხლამურო კურორტის პროექტი
საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს
ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობ-
რობასთან ერთად არ მოახდინა სასწრაფო
რეაგირება შექმნილ მდგომარეობაზე, ვითარება
შეიძლება უადრესად დამძიმდეს.

გასაგებია საქართველოს ხელისუფლების
სურვილი, არ მოხდეს კონფორტაცია რუსისა
და ქართველ მესაზღვრეების შორის, რათა
რუსეთს არ მიეცეს სამხედრო ძალის გამოყენ-
ების საბაბი (მაგალითად: მამისონის უღელტეხ-
ილზე მომხდარი ფაქტი), მაგრამ მდგომარეობა
სავანგაშა და აქტიურ კონტროლისძიებებს
მოითხოვს.

კონტროლისძიებები უნდა მომდინარეობ-
დეს არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციე-
ბისგან და საქართველოს ხელისუფლებისგან,
არამედ საქართველოს საზოგადოებისგან.

ყველა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს რომ
საერთო ძალისხმევის გარეშე მდგომარეობა არ
შეიცვლება.

დღეს საქართველოს მთიანეთში დაახლოე-
ბით 450 კმ-იან საზღვარზე დარჩენილია 25 -
30 ათასი მაცხოვრებელი (ძირითადად ორისა და
მესტიის რაიონების სარჯზე) დეპოპულაციის
პროცესი გრძელდება.

ხელისუფლებამ გადადგა ზოგიერთი ნა-
ბიჯი მოსახლეობის მთაში დასამარებლად
(იგულისხმება სამთო ტურიზმის განვითარების
პროექტები) , მაგრამ ეს ნაბიჯები ჯერჯერო-
ბით არ არის საკმარისი, მისახდია თუშეთი,
ხევსურეთი, ფშავე, ხევი, რაჭა, საქართველოს
მთის სხვა კუთხეები. ყველაფერი უნდა გა-
კეთდეს იმისთვის რომ საქართველოს მთამ
და მისმა მოსახლეობამ დაიბრუნოს
თავისი ფუნქცია.

მამუშაპ არამიშიმ,
ექსპერტი კავკასიის
საკითხებში.



ნიკო ქუმსიაშვილის უკვდავი სხე



ბატონი ნიკოს მშობლები — გიორგი ქუმსიაშვილი და თინა არჩვაშვილი დიდებული ადამიანები იყვნენ — ემაწვილობიდანვე ჩაუნერგეს პაპა-ბებიებმა და მშობლებმა შრომისადმი სიყვარული, კეთილშობილება და მისი წარსულიც საოცარ მოგონებებს შეიცავს.

დაულოცა საოპერო ხელოვნებისაკენ გზა ქართველი ერის დიდმა მამულიშვილმა, ორფოსმა და ლევინარულმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. ნიკო ქუმსიაშვილისთვის დიდი ამაგი მიუძღვის თიანელ პარასკევა და იოსებ ბოძაშვილების ოჯახს, ასევე, მინდოლაურებს, დავით ჩხეიძე-თურ-ლოსპირებს, ზაქარია ფალიაშვილს.

თიანეთის რაიონის სოფელი ორხევი სიონის გვერდით, იორის მარცხენა ნაპირზე, ციფლიძის ტყიანი მთის კალთებზეა შეფენილი. სწორედ ამ წარმტაც სოფელში დაიბადა ქართული საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი და კორიფე, კავკასიის ბულბულად წოდებული ნიკო ქუმსიაშვილი. დაუღალავი შრომითა და ბრძოლით განვლო წუთისოფელი, რომელმაც „ვანო სარაჯიშვილის დახრილ დროსა პირველმა დასტატა ხელი ცხარე ბრძოლაში შეჭრილ რაინდივით და სხვა ქართველ მომღერლებთან ერთად ფრიალით ატარა იგი მაღლა, კუბოს კარამდე“.

ნიკო ქუმსიაშვილის დიდი პაპა-ნადირა თავისი დროის გმირულ რომანტიკული პიროვნება ყოფილა — საამო გარეგნობის პატრონი, როგორც მოგონებაში წერს ბატონი ნიკო, ვაჟკაცური იერის მქონე, მაგრამ ზღვა სიყვარულის დამტყვე გულით.



ნიკო ქუმსიაშვილი შვილებთან: როდამთან და შოთასთან ერთად

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტის ნიკო ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა საღამოს თაოსანი და წამყვანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მზია დავითაშვილი.

საღამოს დასაწყისში გაიფლერა სერგო ფოფხაძის ტექსტზე შექმნილმა თიანეთის ჰიმნმა, რომელსაც ასრულებდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი მჭედლიშვილი. ქალბატონი მზია დავითაშვილი და ოპერის გუნდი.

ლონისძიებში მონაწილეობდა თათული (თამარ) ქუნცაშვილი, რომელმაც სიბელიუსის „ნაპო“ შეასრულა. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ჟურნალისტი და პოეტი როდამ ქუმსიაშვილის „შვილობილი“ იზა ჯაჭვამიძე, რუსთავეის საშუალო სკოლის „მზეკაბანის“ დირექტორი და საპატიო მოქალაქე ბელა ჯანგიძე. სამადლობელი სიტყვები წამოთქვა თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ დავითაშვილმა, მოადგილე ლალი ქანლიშვილმა, თიანეთის მოხიბლული და აღფრთოვანებულები იყვნენ ამ უღამაზესი და დაუვიწყარი ღონისძიებით და მადლობა გამოუცხადეს საოპერო ხელოვნების კორიფეს მზია დავითაშვილს. საღამოს ესწრებოდა ბევრი სტუმარი, მათ შორის თიანეთის მკვიდრი და ამავე რაიონის დეპუტატი ზაქარია ქუნცაშვილი.

სახელმძღვანელო მომღერლის ნიკო ქუმსიაშვილის სახელი, როგორც ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლისა, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში.

ამაჰანა



80 წლისა შესრულდა მწერალი და ჟურნალისტი სპიტიასპარ იოსების კმ არჩვაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა ოუბილარს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია: ბატონო ხეთისავარ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთადად მოგესალმებიან მსცოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

სპიტიასპარ არჩვაშვილი — 80

აქვეყნეთ პირველი მოთხრობა „ბეჯითი მოსწავლე“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად იბეჭდება ჩვენს პრესაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ურა, ხოლო კულტურის სფეროში გაწეული ღვაწლისათვის (ქ. სოჭში ქართული კულტურის ცენტრის „ივერიის“ შექმნისა და ლამარის ჯვარის კომპლექსის აღდგენის ინიციატივისა და ხელშეწყობისათვის) მოგენიჭათ ექვთიმე თაყაიშვილის პრემია 2009 წ. დაჯილდოებული ბრძანდებით ღირსების ორდენით, მიღებული გაქვთ საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის დიპლომი (2012წ) ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ღარიალი (ზალოდა)

შორს გაწოლილა შავი ღრუბელი, თითქოს გრივალის ატყდა უცებ... მტარგალთა ურდო, როგორც წურბელი, მოიღტვის სისხლით დაუყურები... მოიგრაგება ჩრდილო მიწიდან, მის ნატერფალზე ცეცხლი ენთება; გერ აძღებს ის, რაც სისხლმა იწვიამ და კვლავ სისხლისთვის დაეხეტება. წინ აღმართულა მწვერვალი დიდი, მტერი კვლავ ბოღმით მოქანება, ჰკაფაგენ, მაგრამ ვიოტად მოდის — თითქოს სიკვდილიც არ ეკარებათ. ცას ეპოდება მახვილთა ელვა, ხმლები სიბებზე ზარად რეკაგენ,

იგრის, არაგვის ვაჟები ყველა მტერს ვაჟკაცური მკერდით შეაკვდნენ. მათ შეასრულეს ის წმინდა მცნება, გულში რომ ენთოთ ღვთიურ წადილად, მტერს შეეგებნენ დირსეულ მტრებად, მოკვდნენ და მაინც დარჩნენ არწივად. მაგრამ ვინა სთქვა მათი სიკვდილი? გული გულობას თუ მოიშლიდა? თერგის წინ, როგორც ზეცის დიმილი, ღარიალის კლდე ამოიწიდა... მას შემდეგ იგი იცავს ამ მიწას, ბერლინმაც იცის მისი სახელი, დგას ღარიალი, როგორც მთაწმინდა, როგორც ლოცვა და როგორც ხანთელი.

დინების აღმა მიმავალი...



გიორგი ვიკლავის გამოფენას ბევრი გამოჩენილი მხატვარი, ხელოვნებამცოდნე, ჟურნალისტი, არქიტექტორი, მწერალი და საზოგადოების წარმომადგენელი გაეცნო.

გთავაზობთ ამონარიდებს შთაბეჭდილებათა წიგნიდან:

რქმ(ო) ადამია - მხატვარი, პროზაიკოსი: გიორგი დიდებული მხატვარია, შინაგანი სიმდიდრით, მაღალ დონეზე გრძნობს სიღრმისეულ ხასიათებს.

ასამათი ოქროპირი - ხელოვნებამცოდნე: გიორგი ვიკლავის მხატვრობა ჩუმი უსიტყვო გმირებაა, რადგან უკიდურესად პრაგმატულ XXI საუკუნეში ემსახურა სულს, ყური დაუგდო შინაგან სამყაროს - იგივეა, კალმანხივით დინებას აღმა რომ აუყვებ...

გიორგის მხატვრობაში იკითხება უძველესი გენეტიკური მემკვიდრეობა - საფლავის ქვების, რელიეფების,

ახალგაზრდა მხატვარი გიორგი ვიკლავის თბილისში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არის საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების წევრი. გიორგის უკვე ორი პერსონალური გამოფენა ჰქონდა, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში და „კავკასიური სახლის“ საგამოფენო დარბაზში, ასევე მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში, ეროვნულ გალერეაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და ქარვასლაში.

ფარდაგების, ნაბდების... და ეს ყველაფერი ზედმიწევნით თანამედროვედ მეტყველებს - ფერის, ლაქის, ფაქტურის ინტენსივობა, წერის მანერის თავისუფლება, რომელსაც ღრმა სულიერი პლასტების წვდომა განაპირობებს.

მხატვრისადმი დიდი ინტერესი გადმოცემის ზუსტად მოძებნილი ლაკონიზმი და კეთილშობილი, კოლორიტული გრძნობა, ცოცხალი ნიმუშია მრავალათასწლოვანი ქართული გემოვნებისა.

გიორგი ნამდვილი მხატვარია. მხატვრობა არ ისწავლება, მხატვრებად იბადებიან...

მზნა ზაქარაიშვილი - მხატვარი: ფერთა ჟღერადობა, დრამატიზმი, შინაგანი სითამამე იგრძნობა მხატვრის ფერწერულ ტილოებში.

მარიკა ჯემითელი - ხელოვნებამცოდნე: გიორგის ნამუშევრებში არის სრული ინდივიდუალიზმი, ფერთა გამა, ჟანრის მრავალფეროვნება.

ლემზან რატიანი - აკადემიკოსი: ის, რაც გიორგიმ წარმოაჩინა, ამაღლებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგრძნობა ის სიღალღე,

რაც მთის შვილს შთააგონებს, ასე ლამაზად გადმოსცეს მთის სიდიადე და მანდილოსნის კდემამოსილება...

ნოდარ მინდორაშვილი - არქიტექტორი: ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. გიორგის ნამდვილად დიდი მომავალი და პერსპექტივა აქვს, რომ ჩადგეს დიდი მხატვრების რიგში.

\*\*\*

გიორგი ვიკლავის ტილოები გამოირჩევა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, პეიზაჟებით, ნატურმოტებით, პორტრეტებით, ცხოველთა სამყაროთი, ფრინველებით, თემატური სიუჟეტებით და გრაფიკული ნიმუშებით.

მისი ხედევა განზოგადებულია, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია, თვით მყოფადი, ფერადოვანი, როგორც მისი მშობლიური ხეცურეთია. პალიტრა არჩევულებრივად მდიდარი, ფერწერა ძალიან დრამატული და ემოციური. მიზანი - როგორ დაიმორჩილოს ფერი, საფუძველი - ამაღლებული სულიერება, რაც

ღმერთისგან ბოძებული ნიჭია. გიორგი იმავდროულად ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. გაზეთ „კავკასიაში“ ხშირად აქვეყნებს წერილებს მთის პრობლემებზე.

უყვარს პოეზია, მუსიკა და სპორტი.

გიორგი ვიკლავი მეცნიერთა ოჯახის შვილია, მამამსიც და დედაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული არიან და სიყმაწვილიდანვე მშობლებმა იგი დიდ ქართულ სულიერებას აზიარეს.

გიორგი ვიკლავის მამა - ივანე ვიკლავი (ჯურნალ ივანე), მეცნიერია - არქეოლოგ-ეთნოლოგი,

იგი ლექციებს კითხულობდა დედა-ნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრაზე. სპეცკურსს კითხულობდა მაგისტრანტ სტუდენტთან. ასევე, ბატონი ივანე იყო მეცნიერ მუშაკი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევით ცენტრში. მუშაობდა - ცისანა ლომიძე თანაკურსელი იყო. ეს ქალბატონი არქეოლოგიის კვლევით ცენტრში მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა.

გიორგი ვიკლავი შემოდგომაზე ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში აპირებს ახალი ნამუშევრების გამოფენას. ვუსურვებთ წარმატებებს.

იზა სტორელი



თეთრი შგელი


ნაპო

სვანეთის სათავეში, სოფელ უშგულში მურყმელის უბანში კაკრიაშვილების სამკვიდროა, შუა საუკუნეებში აშენებული რამდენიმე ლამაზი კოშკ-მარუბით და თანამედროვე ევროპული სახლებით, ასე ანგელოზის მაცხოვრის თეოტი საყდრით, რომელიც XI-XIII საუკუნეებში ყოფილა მოხატული და ნაწილი მხატვრობისა ახლაც შემორჩენილია, მათ შორის თამარ მეფისა და მისი მამის ნაწილობრივ აღდგენილი ფრესკები. კაკრიაშვილები ამ საყდრის ძირითადი მრეველია და მათი წინაპრების, რომლებიც საეკლესიო მეტრიკულ ჩანაწერებში 1860-იან წლებში სიზმარიანების ვგარით იხსენიებიან, საუკუნო განსასვენებელიც საყდრის სამივე კედლის გასწვრივ არის.

1927 წელს დავით გიორგის ბე კაკრიაშვილი და იქვე ჩაუყარეს უბანში მცხოვრები ნუცა ანტონის ასული ნიჭარაძე დაქორწინებულან, მათ შესძენიათ ექვსი შვილი - მაქსიმე (1930წ.), ბუხულა (1933წ.), ავთანდილი (1937წ.), გურიელ (1940წ.), ევა (1943წ.), ნაპო (1945წ.14მაისი). გიორგის და მის შვილებს (კოსტა, ივანე, დავით, დავი) 1929 წელს უშგულში აშენებულ, ერთ-ერთ პირველ ევროპულ სახლში უცხოვრიათ. მას შემდეგ რაც გიორგის შვილები გაყრილან დავითს და მის ბიძას ბაგრატს 1945 წელს მაცხოვრის საყდრის სიახლოვეს აუშენებიათ ევროპული სამ სართულიანი სახლი.

1952 წელს დავითის უფროსი შვილები მაქსიმე და ბუხულა სოფლის ექვს ახალგაზრდასთან ერთად რუსეთის ჯარში გაუწვევიათ, სადაც თითქმის ოთხი წელი დაუყვიათ. 1955 წელს გარდაცვლილა მამა დავითი, ოჯახის მცირეწლოვანი შვილები დედისა და მამის ბიძა-ბიძოლას - ბაგრატის და ელისაბედის იმედიდ დარჩენილან. ძნელი ყოფილა მკაცრ კლიმატში თივისა და შეშის მომარაგება. მაგრამ რადაცნაირად გაუტანიათ თავი. დედა-ნუცა საღად მოაზროვნე, გონიერი ქალი ყოფილა, მას მძიმე საგარეო შრომასთან ერთად

საშინაო საქმეებიც ბევრად უკეთებია, სახლში ჰქონია შალის საქსოვი დაზგა და საკერავი მანქანა, სცოდნია ჭიანჭურის დაკვრა, საარსებოდ ოჯახს ჰყოლია 4-5 ძროხა, ნამატით 2 ხარი,



„კავკასია“ №7-8

ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, ქათამი. ოჯახს ყოველთვის ჰყოლია კარგი ძაღლი და ცხენი, რომელიც სოფელში პრესტიჟული ყოფილა. მიწის მოსავლიდან ჰქონიათ - ქერი, ჭვავი, პური, კარტოფილი და ბოსტანი.

1956 წ. რუსეთის ჯარისგან დაბრუნებულან უფროსი ძმები, ოჯახს შვებით ამოუსუნთქავს. მალე გარდაცვლილა ბიძა ბაგრატ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჯარში გაუწვევიათ მომდევნო მმა ავთანდილი, რომელიც 1959 წელს ურალში დაღუპულა, დიდ თოვლში წვალებით გადაუსვენებიათ უშგულში.

ნაპო (ნათლობის სახელი გიორგი) 1953-63 წლებში უშგულის საშუალო სკოლაში ერთ-ერთი ნიჭიერი და წიგნიერი მოსწავლე ყოფილა. დაწყებით კლასებში მისი მასწავლებელი გულისხმიერი ქალბატონი ლიზა ხარბიანი-ღვაჩლიანი ყოფილა. ზედა კლასებში კი მისთვის ერთ-ერთი ავტორიტეტული მასწავლებელი ისტორიკოსი ჯობე ჩარქულიანი იყო. 1963 წელს სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე მისაღები გამოცდების ჩაბარება უცდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ ჩარიცხულა მაშინ არსებული

მექრთამეობის გამო. მაშინდელი წესის თანახმად სტაჟისთვის მუშაობა დაუწყია მეცხოველეობის ფერმაში და თან მომზადებულა. 1964 წელს ჩარიცხულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. რომელიც დაუსრულებია 1969 წელს. სტუდენტობიდან განსაკუთრებით დაამახსოვრდა პირველი ლექციები გამოჩენილი მეცნიერებისა აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, გიორგი ჯიბლაძის, ვარლამ თოფურიასი. სტუდენტობისას მონაწილეობდა სპორტულ სპარტაკიადებში, სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში.

1969 წელს განათლების სამინისტროს საგზურით მუშაობა დაიწყო მესტიის რაიონის უშგულის საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის საზოგადოებამცოდნეობის მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ. შემდგომ, როცა ამავე სკოლის დირექტორად დაუნიშნავთ, მისი პირველი ღონისძიება ყოფილა სკოლისა და სამასწავლებლო



შესასვლელთან ლენინისა და სტალინის პორტრეტების ჩამოსხნა და იმ ადგილზე შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა კლასიკოსების პორტრეტების მოთავსება. ახალგაზრდა დირექტორს ბარიდან მოუწვევია ენთუზიასტი პედაგოგები, მათი და ადგილობრივი პედაგოგების ძალისხმევით შეუქმენია და კეთილმოუწყვია სკოლის შერნობა.

სკოლაში მუშაობის პერიოდში ნაპო კაკრიაშვილის ჩაუბარებია საკანდიდატო მინიმუმი და დაუშუშავებია სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცე-

ბაზიქიქაზა მე-6 ბჰიქიქა



# მონაქიე

**ანზორ ოსორაული** ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში დაიბადა. მამამისი — იასე ოსორაული ნიკოლოზის ომის ჯარისკაცი იყო, საიდანაც ტუბერკულოზით დაავადებული დაბრუნდა. დედა კი — ელისო ხუშარბიძე თუშეთის სოფელ დართლოში დაიბადა და დედის გარდაცვალების შემდეგ დიკლოში მამამ გააღვივანა. იგი დედინაცვლის ხელში იზრდებოდა. იტყვოდა ხოლმე, „მამის ცოლი მყავდაო.“ ანზორის მამა დიკლოში მეცხვარეობას მისდევდა. ჰყავდა ბევრი ცხვარ-ძროხა, ცხენი და მომთაბარეობას ეწეოდა.

შემდგომში ანზორ ოსორაულის მამა ჯერ ზემო ალვანში სახლობდა, იქიდან თელავის რაიონის სოფელ ფშაველში გადასახლდა და დამკვიდრდა, რადგანაც აქ საუცხოო წყლითა და კალმანით მდიდარი მდინარე სტორი მოედინება.

ანზორ ოსორაულმა ფშაველის საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ ვვარლის რაიონის ენისლის სახელოსნო



ელექტრო-სამქანკო სკოლაში გააგრძელა სწავლა. ამის შემდეგ თელავის ელექტრო-ქსელეში მუშაობდა, შემდეგ ქუთაისის ავტოქარხანაში. ერთი წლის შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა.

ეს ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდს დაემთხვა, რომლის დროსაც გაჭირვებაში ჩავარდნილი იქაურ სამოქალაქო საზოგადოებას საქონლის საკვებს-კორმას და ქატოს აჭმევდნენ. ჯარისკაცებიც ასეთ მძიმე ვითარებაში იმყოფებოდნენ.

ჯარიდან დაბრუნებულ ანზორ ოსორაულს დიდი სიხარულით შეხვდნენ ძველ სამსახურში, რადგანაც საქმეში მეტად დახელოვნებული და პროფესიონალი სპეციალისტი იყო.

ამ დროიდან იწყება მისი ღღობვა ნადირობისადმი და მისი ბუნებაში ხეტიალი, როგორც თუშებს სჩვევიათ, ეს მომცრო ტანის ვაჟკაცი ჟინს იკლავდა მთებში სიარულითაც, კლდეებზე ცოცხალი მეთად დახელოვნებული იყო. არ უშინოდა მთების სიღრმე — სიმაღლეების. იგი ისეთ ადგილებში გადადიოდა, სადაც სხვები ვერ ბედავდნენ გადასვლას.

ანზორისთვის დიდი პოზი ნადირობა იყო: უბირველესად ჯიხვებზე, დათვებზე, გარეულ ღორებზე.

თვალწარმტაც სტორის ხეობაში, ფშაველში, სადაც ანზორის ოჯახი ცხოვრობს და ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ, ნაკლებად მოიპოვება გარეული ცხოველები, ანზორ ოსორაული სანადიროდ დაღესტანში გადადიოდა, რადგან იქ მეტი ნადირობის საშუალებებია.

საბჭოური წყობილების ბოლო პერიოდში, ბიჭვინის გადასასვლელის სიახლოვეს თუშეთ-დაღესტანის მეგობრობის დროშა აღიმართა. (ამაზე წერილის დასასრულის შემდეგ მოკლედ მოგიხსენებთ) თუშეთის სოფელ ჭეროსთან და ინცუხთან არსებული დაღესტნისკენ მიმავალი გზა-ბილიკებით გადადიოდა სანადიროდ ანზორ ოსორაული და ხელხვედრიანად ბრუნდებოდა საკუთარი ოჯახისა და მეგობრების გასახარად. როგორც ამბობენ, ანზორის ძალიან ეხერხებოდა მიპარვით ნადირობა. კლდეებზე ცოცხად და ისე უკლიდა შორიდან გარეულ ცხოველს, რათა სუნით არ ეგრძნოთ მონადირის მიახლოება,

რომელსაც ნადირი განსაკუთრებით გრძნობს. იგი ყოველთვის მცირე კალიბრის შაშხანით ნადირობდა და სხვა მონადირეებს უკვირდათ: ამით როგორ ნადირობო.

— ანზორ, იქნებ ვრცლად მოგვითხროთ ნადირობის ხერხებზე, ეს მკითხველებისთვისაც საინტერესო იქნება.

— თავისი განსაკუთრებული ხერხები აქვს ნადირობას, ნაწილობრივ უკვე გითხარით. უნდა იცოდეთ რომელ ადგილას დაუმიზნო იარაღი, სადაც არ უნდა მოხვდეს ტყვია, აქედან ყველა ადგილზე ნასროლით არ კვდება ცხოველი. მაგალითად, ილიაში სროლით კვდება, ფილტვებში, ღვიძლში, თირკმელებში, გულში, ტყვია თუ მუცელში მოხვდა, მაშინვე არ კვდება და თვალსა და ხელს შუა ქრება.

მაგალითად, შილდის ტყეში სანადიროდ

კილომეტრი სიგრძის მონაკვეთზე საზღვარი გადმოსწიეს. ეს პრესითაც გაცხადდა.

საბჭოური წყობილების ბოლო ეტაპზე, დაახლოებით 80-85-იან წლებში ბიჭვინის ურთულესი გადასასვლელის დასასრულის შემდეგ, პატარა მდინარესთან, თუშეთ-დაღესტნის მეგობრობის დროშა აღმართეს.

მაშინ სამი ამხანაგი მახლდა, რომლებიც წავიყვანე თუშეთის სანახავად. იმ დროისათვის მეც და ისინიც ქართული პრესის ფლაგმანის, დედა გაზეთის „კომუნისტის“ თანამშრომლები ვიყავით: მე, ნანა თათელაძე, ნანა ჯონხარბიძე და დოდო ზედგენიძე. ახმეტის რაიკომმა მეგზურად თუშეთის სოფელ ომალოს საბჭოს თავმჯდომარე გერმანე სისაური მეგზურად გაგვაყოლა.

როცა დაღესტნისაკენ გავემართეთ და დიკლო და ბიჭვინის ძნელი გადასასვლელი გადავიარეთ, გულიწკივილით ვუთხარი მეგზურს, რატომ ზუსტად საქართველო-დაღესტნის ნამდვილ საზღვართან არ აღმართეთ მეგობრობის დროშა-მეთქი. შენ ხომ პირველად მოდიხარ აქეთ, რა იცი საზღვარი სად გადისო. მე ვგრძნობ და თან ვხედავ ისტორიული საზღვარი ჯერ შორს არის მეთქი, აბა გაიხედეთ შორს მთებს იქით, გარემოს სხვა ფერი აქვს, აქეთ სხვა მეთქი. გაიცინა ჩვენმა მეგზურმა და ლეკმაც, რომელსაც თუშის ქალი ჰყავდა ცოლად.

გადავიარეთ თუშებისგან კარგა ხნის წინ მიტოვებული ორი სოფელი; ცოტა მოშორებით არსებული ჭერო და იქვე ჩვენს სავალ გზაზე შემხვედრი ერთ თუ ორ კომლიანი ინცუხი. მაშინაც და დღესაც იქ ლეკები ცხოვრობენ...

თუშეთიდან ბიჭვინის გადასასვლელი, როგორც უკვე ვთქვი, რთული მონაკვეთია. ეტყობა დედა საქართველოსთან სიძნელე-სიმორისთვის და მძიმე კრიმინალური მდგომარეობისათვის მიატოვეს თუშებმა ეს ვრცელი და თვალწარმტაცი ტერიტორია, რომელმაც მაშინ დაღესტანში გადაგვიყვანა. მთელი გზა ვაკვირდებოდი დაღესტნის მხარის მთებს: აქეთ — საქართველოს (თუშეთის ისტორიას) სხვა ფერი ეყო. იქით — დაღესტნელებისას განსხვავებული. ნამდვილ საზღვარს რომ მივადწვიეთ, ვთქვი: აი, ამ მთის იქით არის უკვე დაღესტანი. აქეთ საქართველომეთქი...

კლდის ერთ მონაკვეთზე ალბათ სპეციალურად ჩაჭრილი იყო ვიწრო გასასვლელი, რომელშიც ცხენი თავისუფლად გავიდოდა და მითუმეტეს ადამიანი.

ძვირფასო თამამემახულენო, ძველი საუკუნეებიდან დაწყებული აი, აქ იდგნენ ქართველ მეფეთა გმირი და ერთგული მეციხოვნენი და მტერს არ უშვებდნენ.

მთლიანად საქართველოს ტერიტორიებზე ხომ თანდათან ვკარგავთ მოზრდილ ადგილებს,



ისევ დაუბრუნდები დაღესტანში ჩვენს მოგზაურობას...

როგორც კი გავიარეთ კლდის ეს ვიწრო ტალანი, ჩვენს თვალწინ დაღესტნის თავისთავადი ბუნება გადაიშალა — პირველი სოფელი თუშეთის შემოგარენი.

მთიდან ბილიკით ქვევით რომ დავეშვით, დავინახეთ თიბვით გაოფლილი ლეკის ქალები. კაცები ბანზე იხსდნენ, მასლათობდნენ, ყალიონს აბოლებდნენ და თვალს ადევნებდნენ როგორ თიბავდნენ ქალები.

თუშეთელები დიდი სიხარულით შეგვეკვებნენ და მიგვიწვიეს სუფრასთან. პური მთის ჩვეულებაზე არსებულ ლუმელში იყო გამოძეხვარი. ერთ ვეებერთელა ჯამში იყო მოთავსებული მოხარშული და წვრილად დაჭრილი კარტოფილი. გრაფინებით ცხენის რმე იდგა, რომელიც უნდა დაგველია. აღნიშნული კარტოფილის ჯამიდან კი ყველას უნდა გვეჭამა ხის „ქიტები“. ჩვენმა მეგზურმა — გერმანე სისაურმა დიდი დრო მონადირა ისეთ ოჯახში გაგვეთია ღამე, სადაც სისუფთავე იქნებოდა. თურმე დატილიანება იყო ხუშეთში. როცა დასაძინებლად შევედით, ერთ ფიცრულის სახლში, იატაკზე იყო დაგებული თხელი ლეიბები და საბნები, ოთხივე ბალიშს წითელი გადასაკრავი ფარავდა. გერმანე სისაური კი სიფრთხილისათვის ჩვენი საძილე ოთახის შემოსასვლელთან ათევედა ღამეს, ვგყარაულობდა...

მეორე დღით ჩვენი საგზლით ვისაუზმეთ და სურათები გადავიღეთ ლეკებთან. რატომღაც იქიდან ორი ლეკი აგვედევნა, ჩვენ კარგად ვიმეზავრეთ, მაგრამ მაინც ვფრთხილობდით: ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

დაუვიწყარი და გაუზუნარი მოგონებები არასდროს მცილდება. ძალიან მიყვარს და მიყვარან მთები და მათა მონადირენი. ჩემი



სოფლებს, ტყეებს, საძოვრებს, მთებს. საქართველო კი ჩვენი დედულ-მამული შაგრენის ტყავით პატარავდება: იქით — თუშეთში, იქით — ფშაველურეთში, ხევში, მესხეთ-ჯავახეთში, აფხაზეთში, შიდა ქართლში, ანუ ცხინვალის რეგიონში, აჭარაში...

ტირის ადგილის დედა, შევლას ითხოვს, მაგრამ ვერ ვშველით...

ქურნალისტური და სამწერლო მოღვაწეობის განმავლობაში სუფთა სულ-გულის საოცარი ადამიანები გავიცანი და მათთან მარადიული კავშირები მუდამაქამ სიხარულით და სიამაყით მაკვებს.

იზა ჯაჭვამი

ფოტო  
განყოფილისათვის



დედაშვილობა

ქარმა ღრუბელი  
გამოსვენა

წვიმამ ნაღველი ცრემლად დაღვარა,  
მეხის გრიაღმა დაახშო სმენა  
და მართოსულმა ჭირისუფალმა  
ქარმა ღრუბელი გამოასვენა.  
ტყეში ჩიტებმა სული განაბეს,  
მწარედ აკვნესდნენ ხეთა რტოები,  
სეკდიანი და მიუსაფარი  
ტირიფი იდგა განმარტოებით.

მთერ ზარიძე

ბიღმცავთ,  
ომღებებომ!...

სვეტიცხოვლობის დღეს, 14 ოქტომბერს ეთერში  
გავიდა ახალი მაუწყებლობა – „ქართული“, ამით კიდევ  
ერთი ტელეარხი შეემატა ქართულ მედიასივრცეს.

„ქართული“ – ეს არის ის, რაც ასე აკლდა ამ ბოლო  
დროს ჩვენს ორიენტაციას. ქართული – ეს არის მშობლი-  
ური, მამა-პაპათაგან დანატოვარი სიწმინდე, ორიენტაცია,  
ენა ჩვენი ქებული... ეს ნიშნავს მშობლიურის პატივისცემას  
და ამ ნიადაგზე ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა  
თანასწორობას, ტოლერანტობას, მეგობრობას საქართვე-  
ლოს ცის ქვეშ.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს „ქართულის“ შემომატება.  
ეულოცავთ ამ სასიხარულო მოვლენას მთელ საზოგა-  
დობას, ტელეარხის თამანშრომლებსა და დამფუძნებლებს.

ბავთი „კავკასიის“ რედაქცია.

ბიღმცავთ

გულოცავთ დაბადების  
დღეს:

თვალსაჩინო პოეტს – ბოჩა ხარანაშულს;

\*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,  
პროფესორ ლელა შატირიშვილს;

\*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,  
პროფესორ ნოდარ არლოტელს;

\*

თვალსაჩინო მწერალ პროზაიკოსს  
ზურაბ თორიას.

უაზი ღაფი ღიანჭოს ხოტბაში

\*\*\*

აგვისტოს თვეში მასპინძლობს ქართლი,  
მრავალტანჯული ზენა სოფელი  
და ლურჯლიახვთან იარაღაყრდის,  
მაჯას მისინჯავს წუთისოფელი,  
ნიაგს ჩამთაქვს მწუხრი ჯაგვიდან,  
მინდგრებს ჩაუცვამს ჭრელი ქოშები,  
მზეზე ეღვარებს ანაბეთი და  
ჩვენს ხეობაში ძველი კოშკები.  
მიმზერს ქართველი ხარის თვალებით,  
ასე ურნი და, ასე დიდგულა,  
იღვრება ლექსი, როგორც თაკვენი  
და საამური, როგორც კვხურა.  
ამ ოქროცურვილ ფერთა გამაში,  
გინდ კახი იყავ, გინდა ქართლელი,  
დღეს ლექი არ მსდევს ლამისყანაში  
თავისუფალი მე გარ ქართველი.  
და მაინც სადღაც მთის კალთებიდან,  
სადღაც საბრალოდ დგანან ტყულები,  
ისმის ფუსფუსი და სდუმს თეში და...  
და ბუნაგებში სხედან ტურები.  
ღამეა შავი, მასპინძლის კართან,  
მგონი ბოხლოამ წყალი დაღია.  
ტურები სხედან ბუნაგში რადგან  
ჩვენს ხეობაში მგლები დადიან.  
აყრილი ხალხი სოფლიდან გარბის,  
სტოგებს სახლ-კარს და სტოგებს ხეობას.  
ტყვია ეწეკათ მტრის ბუნაგიდან  
მათ არ აშინებთ, მაინც გარბიან.  
შიდა ქართლიდან – ქართლის გულამდე,  
ვიცი დამლოცავს ზენა სოფელი,  
ღიანჭვს ფეხით კვეთს გუჯა გაგნიძე  
და მიიწეგა წუთისოფელი.

ნიწო რაზმაძე

№31 საბავშვო ბაგა-ბაღის ბინადარი –  
იბულებით გადაადგილებული სამაჩაბლოდან,  
ყოფილი პედაგოგი.

სული ზედმეტად ტკბილია,  
ჭირმა რომ ვამიკაჟა,  
გაგლახ, არა მყავს ილია  
და მეც არა გარ გაჟა!  
დაგვიდგეს ღვარძლის ფაცერი,  
გარდების მმუსნარავს ჯარი,  
ლუკმა გარ ქონდრისკაცების,  
პოეტი—მათხოვარი!!!

ბოჩა ხარანაშული

თბილისის ქუჩაში ვიზიის  
უაქვო


ჩემ თვალწინ მანქანამ გაწუწა  
თეთრმანდილიანი არაბი...  
ო, როგორ მომწყურდა ამ წუთას,  
ნაპირი თერგის და არაგვის...  
სტუმარი ცოტა ხნით მისარის...  
მოთმენის მეტი რა გვარჩენია?!  
ტკივილის საზღვარი მითხარით  
გულს რომ ასე უხვად სჩენია.  
ფერი შოკოლადის, ზაფრანის, კუბრის და  
ვინ მოსთვლის რა ფერი...  
ამ ჩემს ქალაქში რომ გახშირდა,  
სივრცე აღარ მყოფნის საფრენი...  
მადლიან მიწა-წყლის გაყოფას  
აღბათ სხვა ერებიც მომთხოვენ...  
ამას გვიჩვენებია არყოფნა  
სვანს, მოხვევსა თუ ფხოველს...  
რამდენი იმედი გაცრუვდა,  
მოსმენა აღარ მსურს არაგვის...  
და როგორ მწყურია ამ წუთას,  
ნაპირი თერგის და არაგვის.

ბავთის ხსოვნას

ჩემი ბავშვობის ზმანება,  
მშობლიურ კალთის ნანაგვი,  
გენახში მწიფე ზვარებად  
რქაწითელი და მანაგვი.  
იქ, გაღმა, ლურჯი მთებია,  
სახლი ქართული კრამიტით.  
რამდენჯერ დამსინზრებია  
ღუმელზე ჯამი ხაჭაპის.  
ბაღახზე ცვარი მინანქრის,  
ზეცა ოქროს მზით ორსული,  
ცხკარი – ველზე შირაქის  
მერცხლის ჭიკჭიკით მოსული.  
აგვისტოს ხგატში მზის დნობა,  
ფოთოლთა სუსტი შირაღი,  
მთვარისთვის ფიქრის განდობა,  
საღამო – ფერი ქლიავის.  
აღაზნის ხმის გახველებით  
შხაპუნა წვიმა მაისის,  
ბების თბილი ხელები,  
ქალა-ბიჭობის ხალისი.  
„ყონალი“ ცხენზე სურჯინით,  
სურჯინში ტკბილი ხართუთა,  
ღობესთან მდგარი მუნჯივით,  
ბიჭი შავთვალა, შავტუხა.  
გაღმა რო ლურჯი მთებია,  
მინდგრად ყაყაჩოს ხანძარი...  
ო, როგორ მომნატრებია  
ძველი კერის ნაცარიც.

ნიწო მარსაბიშვილი

ბუნების საოცრება



ხე-ქანი

|   |  |   |  |  |
|---|--|---|--|--|
|  | დამფუძნებელი, გამომცემელი<br>და მთავარი რედაქტორი<br><b>იზა ჯაჭვამძე</b> | რედაქტორი<br>ლაშა-გიორგი<br>პრავეიშვილი | სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ<br>გოგრიძიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიაძე, ლევან<br>ცალუღლაშვილი, მარინე თეთიუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი,<br>გულუო კობიაშვილი, გოჩა ხარანაშული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.<br>ბავთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები<br>თავად აკლან პასუხს მასალაში უმთავრესი უმთავრესი სისწორეში, ავტორთა<br>მოსაზრებები უმასალა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. ბავთიდან<br>მასალის გადაბეჭდვა რედაქციისთან უმთავრესად დაუშვებელია. | მისამართი:<br>კოსტავას ქ.№14<br>ტელ: 2-52-16-38<br>599-79-76-13<br>დაკავშირდით<br>კობა ბედოიძის<br>დიზაინცენტრში<br>www.bedoidze.site.ge |
|---|--|---|--|--|